ვებგვერდი, 111110008, 11/11/2011
სარეგისტრაციო კოდი
040030000.22.022.016225

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №188/ნ
2011 წლის 10 ნოემბერი ქ. თბილისი

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით (სსმ III, 26.09.2005, №112, მუხ. 1233) დამტკიცებულ დანართ №1-ში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-17 მუხლის მეორე პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,დ) საშტატო განრიგის (რომელიც შეიძლება შედგებოდეს შემდეგი საშტატო ერთეულებისგან: დირექტორი; დირექტორის მოადგილე; ბუღალტერი; ბიბლიოთეკარი; საქმისმწარმოებელი; მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი; ადმინისტრატორი (თუ სკოლის ბალანსზე ირიცხება ერთ შენობაზე მეტი); ინკლუზიური განათლების კოორდინატორი (თუ სკოლა ჩართულია პროგრამა – ,,ინკლუზიური განათლების განვითარება საქართველოს 9 რეგიონის საჯარო სკოლაში''); მასწავლებელი) და ხელფასის ფონდის განსაზღვრა.

მუხლი 2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დ. შაშკინი